პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 მაისი სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 48-ე წელი ● № 116 (14112)

გუშინ თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში

მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

დეპუტატებმა მოისმინეს მოხსენებანი და თანამოხსენებანი რესპუბლიკის სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სესია მუშაობას განაგრძობს.

თბილისი. 1968 წლის 20 მაისი. საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის სხდომა.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

ერთსულოვნად, საქმიანად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

20 მაისის დილის სხდომა

20 მაისს დილის 11 საათზე თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ.

საქართველოს მშრომელები, რომლებმაც მარშან გადაჭარბებით შეასრულეს ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი, წელს თავიანთ ენერგიას, შემოქმედებითს მეცადინეობას ახმარენ ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

ასრულებენ რა პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გეგმებს, მათ ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. დამკვრელურ ვახტზე დგას რესპუბლიკა ორი ღირსშესანიშნავი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად.

საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, ერთსულოვნად მოიწონეს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელმაც ღრმად გააანალიზა თანამედროვე საერთაშორისო ვითარება და დასახა პარტიის ამოცანები ამ დარგში. პლენუმის გადაწყვეტილებებში მკაფიოდ აისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებისათვის.

ყოველ დღეს ახალი ცნობები მოაქვს შრომითს ფრონტზე გამარჯვებათა შესახებ. გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის მესამე წლის პირველი კვარტალის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდა ცხრა პროცენტით. გაიზარდა პროდუქციის წარმოება ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, მსუბუქი და კვების მრეწველობა და სხვ.

ჩინებულად იშრომეს ახალ პირობებში მომუშავე საწარმოთა კოლექტივებმა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების პირველი კვარტალის გეგმა.

ფართო ფრონტით გაშალეს ბრძოლა წლევანდელი უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა.

ახალი წარმატებებით გვახარებენ რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა აღგვაფრთოვანებს, შთაგვაგონებს ახალ საგმირო საქმეებს სამშობლოს სასახელოდ. საქართველოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი 1968 წელი გადააქციონ ახალ შესანიშნავ მიღწევათა წლად, კომუნიზმის გზაზე ახალი ნაბიჯის წლად.

ამ სესიაზე დეპუტატებმა უნდა განიხილონ მრავალი საკითხი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის ცხოვრებაში. გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ხალხის რჩეულნი მიიღებენ, ღონისძიებანი, რომლებსაც ისინი დასახავენ, უეჭველია, ხელს შეუწყობენ სკკპ 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის დირექტივების უფრო სრულად განხორციელებას, ახალ წვლილს შეიტანენ იმ პრობლემათა გადაწყვეტაში, რომლებიც დღეს აწუხებთ რესპუბლიკის მშრომელებს.

თავმჯდომარის მაგიდასთან ადგილებს იკავებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ი. გ. ამირჩბა, გ. ა. ბაზაევი, ლ. ა. ხოზრევანიძე.

მთავრობის ლოუებში არიან ამხანაგები ვ. კ. მეკვანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. ხეცურაშვილი, რ. ი. ფრუნიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ხ. კოპენიძე, შ. ი. ბანუყვაძე, გ. დ. ჯაფარიშვილი, ვ. ი. კუბაევა, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. რ. დვალმა. მას წინადადება შეაქვს ფეხზე აღგომით პატივი სცენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გარდაცვლილი თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ე. ა. სალუქვაძის ხსოვნას.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ხ. ა. შარაძენიძეს. უხუცესთა საბჭოს სახელით მან წინადადება შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიონ დეპუტატი რ. ა. ჯაფარიძე.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ რ. ა. ჯაფარიძის არჩევის შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ლ. დ. ბაღალაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებულებათა შემოწმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა:

„ცნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. ვ. ბოკუჩავას რწმუნებულებანი, რომელიც 1968 წლის 7 ივნვარს არჩეულია ქალაქ ზუგდიდის ლენინის № 302 საარჩევნო ოლქში".

ამტკიცებენ სესიის მუშაობის დღის წესრიგსა და რეგლამენტს. სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. რესპუბლიკის სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მდგომარეობა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ დასმული საკითხების განხილვისა და შესრულების მდგომარეობა.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და ხაზოგადოებრივი კვების და ბუნების დაცვის მუდმივ კომისიათა ანგარიში.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

შემდეგ დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თ. ვ. ლაშქარაშვილისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის დეპუტატ ლ. ა. ხაუთარელიძის მოხსენებანი სესიის დღის წესრიგის პირველი საკითხზე: „რესპუბლიკის სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მდგომარეობა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება".

დღის წესრიგის პირველ საკითხზე თანამოხსენებანი წაიკითხეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. მ. ბუაჩიძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გ. გელბახიანმა.

მოხსენებათა და თანამოხსენებათა გამო დაიწყო კამათი. დღის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ დეპუტატები ვ. ი. პისარევა (ქალაქ თბილისის საბჭოს საარჩევნო ოლქი), ლ. მ. უკლება (ქალაქ ბათუმის ლენინის საარჩევნო ოლქი), ი. გ. ამირჩბა (ოჩამჩირის რაიონის ოჩამჩირის საარჩევნო ოლქი), ვ. ხ. გელაშვილი (ცხინვალის რაიონის ცხინვალის სასოფლო საარჩევნო ოლქი), მ. ფ. ჩხეიძე (ქალაქ თბილისის ისნის საარჩევნო ოლქი), დ. მ. იოსელიანი (წულუკიძის რაიონის მათხოჯის საარჩევნო ოლქი), ხ. ხ. ხიხარულიძე (ქალაქ ქუთაისის ლენინიძის საარჩევნო ოლქი), ნ. ა. ლაკია (ქალაქ ფოთის რუსთაველის საარჩევნო ოლქი), პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ი. უ. ფაღავა.

სესიის მუშაობა მამდინარეობს დეპუტატთა ერთსულოვნებისა და შეკავშირების, მაღალი აქტივობის ვითარებაში.

ორატორებმა ილაპარაკეს იმ საყოველთაო სიყვარულსა და ზრუნვაზე, რომლითაც გარემოსილი არიან ბავშვები საბჭოთა ქვეყანაში. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ მზარდი თაობის აღზრდის საკითხებს. სწორედ მათ — დღევანდელმა პატარებმა უნდა განაგრძონ უფროსი თაობის სახელოვან შრომითს საგმირო საქმეთა ესტაფეტა, საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი პატრიოტული ტრადიციები და გაბედული წამოწყებანი, აღზარდოთ ბავშვები მგზნებარე პატრიოტებად, კომუნიზმის შეგნებულ მშენებლებად — ასეთია ამოცანა, რომელიც პარტიამ დასახა.

დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ნორჩებისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის, სწავლისა და ყოველმხრივ განვითარებისათვის ზრუნვა საბჭოთა სახელმწიფოს კანონად გადაიქცა. დიდი სახსრები ხმარდება ყოველწლიურად სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობასა და კეთილმოწყობას, მათი მატერიალური ბაზის გაფართოებასა და განმტკიცებას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას.

მაგრამ, როგორც სესიაზე აღინიშნა, ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების ტემპი ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ეს უმეტესად შეეხება სოფელს.

მთელ რიგ შემთხვევებში სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებანი მეტისმეტად გადატვირთულია, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბავშვთა ნორმალური დღის რეჟიმის დარღვევას. ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულება მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში.

დეპუტატებმა ხაზი გაუსვეს, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებს, მათს სეხერებებსა და მოთხოვნილებებს.

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დილის სხდომა.

20 მაისის საღამოს სხდომა

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი რ. რ. დვალი.

გაგრძელდა დღის წესრიგის პირველი პუნქტის მოხსენებისა და თანამოხსენებების განხილვა.

კამათში მონაწილეობდნენ პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი რ. ა. გზიშვილი, დეპუტატები ე. ა. ჩხაბიძე (ლანჩხუთის რაიონის აცანის საარჩევნო ოლქი), ო. ფ. ანთია (ქალაქ ზუგდიდის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი), თბილისის № 1 საბავშვო ბაღის გამგე ძ. პ. ქაბაშვილი, დეპუტატი მ. ი. ლანჩავა (ქალაქ ტყიბულის ლენინის საარჩევნო ოლქი), დმანისის მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. მ. ისმაილოვი, დეპუტატი გ. ი. ზაუტაშვილი (ყვარლის რაიონის ახალსოფლის საარჩევნო ოლქი), ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი ვ. მ. გოგოლაძე.

როგორც დეპუტატების გამოსვლებში აღინიშნა, ამ სესიაზე სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების მუშაობის საკითხის განხილვა კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ქვეყანაში ნორჩი თაობის აღზრდის სწორ ორგანიზაციას. კარგად ეხმიან რა ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა, დეპუტატებმა ღრმად და გულდასმით, დიდი პასუხისმგებლობით ანალიზი გაუკეთეს სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების ქსელის მუშაობას, აღნიშნეს არსებული ნაკლოვანებანი, დასახეს მათი რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრის გზები.

სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების მუშაკებს ჩვენი ქვეყანა ანდობს ყველაზე ძვირფასს—ბავშვებს. დეპუტატებმა დასვეს საკითხი, რომ გაუმჯობესონ სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების კადრების მომზადება, ამაღლონ მათი კვალიფიკაცია, რომ საჭიროებისა უფრო ფართოდ დაამუშაონ ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის საკვანძო პრობლემები, განაზოგადონ და უფრო სწრაფად გაავრცელონ საუკეთესო სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების გამოცდილება.

ამით დამთავრდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა.

ხანგრძლივი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკის სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მდგომარეობისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის საღამოს სხდომა. (საქმენი).

რესპუბლიკური თათბირი მეთამბაქოობის საკითხებზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ამა წლის 6 ივნისს სოხუმში მოწვეულ იქნას რესპუბლიკური თათბირი მეთამბაქოობის საკითხებზე. თათბირზე განიხილავენ თამბაქოს წარმოების გადიდების, გადამუშავების გაუმჯობესებისა და ხარისხის ამაღლების საკითხებს. (საქმენი).

ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტი ჩამოვიდა მოსკოვში

მოსკოვი, 20 მაისი. (საკმენი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი ფრანც იონასი.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" VI ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" VI ყრილობა შედგება თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში (რუსთაველის, 17) 1968 წლის 22 მაისს დილის 11 საათზე.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 1968 წლის 21 მაისს საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის შენობაში (ლენინის ქ. № 35, მე-3 სართული) დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ტელეფონები 99-00-83; 99-00-35; 99-73-60; 99-65-65; 93-12-93; 22 მაისს — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზში დილის 9 საათიდან.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა საქართველოში სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები, თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე, ხკკპ წევრი 1925 წლიდან

დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

შეიქმნა დ. ჭიჭინაძის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან ამხანაგები გ. ჩოგოვაძე (თავმჯდომარე), მ. გოგიჩაიშვილი, კ. ლურიძე, მ. მეგრელიშვილი, მ. თოფურიძე, ვ. ჩოფიკაშვილი.

დ. ა. ჭიჭინაძის დაკრძალვის მოწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 21, 22 მაისს საღამოს 8 საათზე განსვენებულის ბინაში, პლეხანოვის პროსპექტი, 102/104.

23 მაისს სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება რკინიგზელის სახლის შენობაში საღამოს 5 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი, 127.

გამოსვენება 23 მაისს საღამოს 6 საათზე რკინიგზელის სახლიდან.

დაკრძალვა — საბურთალოს სასაფლაოზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

რესპუბლიკის სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მდგომარეობა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თ. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა განათლების სისტემაში სკოლამდელ აღზრდას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სკოლამდელი აღზრდა, როგორც აღზრდის სახელმწიფოებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილი, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა. მანამდე საქართველოში სულ ხუთი საბავშვო ბაღი იყო, მათგან 4 — კერძო პირთა გამგებლობაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რა ადრეული ასაკიდან ბავშვის სწორად აღზრდას და ზრუნავდნენ რა ქალის სწორუფლებიანობისათვის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ფართოდ ჩაბმისათვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას და მათი მუშაობის სრულყოფას.

ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ბრდება სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი, მაგალითად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათი რაოდენობა 240-ჯერ გაიზარდა და დღისათვის 1.200-ს აღწევს; მათში 100.000 ბავშვი იზრდება.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვებზე მუდმივი ზრუნვის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიიდ ღიეს სპეციალური მსჯელობის საგნად გახადა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საკითხი.

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში. საკმარისია ითქვას, რომ თუ 1959 წლამდე რესპუბლიკაში განათლების სამინისტროს ხაზით საბელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურად თითო-ოროლა საბავშვო ბაღი შენდებოდა, 1965 წელს მარტო ამ ხაზით აშენდა 56 სკოლამდელი დაწესებულება 4.500 ბავშვისათვის, 1966 წელს — 55 დაწესებულება 5.300-ზე მეტი ბავშვისათვის. სკოლამდელი დაწესებულებები შენდება არა მარტო მსხვილ სამრეწველო ქალაქებში, არამედ ისეთ სოფლებშიც, სადაც რეკონსტრუქციამდე დაწყებითი სკოლაც კი არ არსებობდა. ამკამად, რესპუბლიკაში თითქმის არ არის ისეთი რაიონი, სადაც ბაღის ან ბაგა-ბაღის ტიპური შენობა არ იყოს. სკოლამდელ დაწესებულებებს აშენებენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროები, სხვა საწარმო-დაწესებულებები. 1966 წელს საბჭოთა მეურნეობებმა 3 საბავშვო ბაღი 150 ბავშვისათვის, 1967 წელს — 10—510 ბავშვისათვის, ხოლო 1968 წლისათვის გათვალისწინებულია 15 საბავშვო ბაღის აშენება 830 ადგილით. კოლმეურნეობების სახსრებით 1967 წელს აშენდა 6 საბავშვო ბაღი 355 ადგილით, რომლებიც გადაეცა განათლების ადგილობრივ ორგანოებს. 1968 წლისათვის გათვალისწინებულია 6 საბავშვო ბაღის აშენება 375 ადგილით.

მიუხედავად ამისა, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განვითარების ტემპები სერიოზულად ჩამორჩება სკოლამდელთა კონტინგენტის ზრდას და ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით ისეთ ქალაქებში, როგორიც არის თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ცხინვალი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი, ჭიათურა, ტყიბული. სკოლამდელ დაწესებულებათა უკმარისობის გამო საოჯახო-დელო ჯგუფებში ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 25 ბავშვისა ირიცხება 40-50 ბავშვი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის მხრივ საბჭოთა კავშირში თითქმის უკანასკნელ ადგილზეა. 1967 წელს რესპუბლიკაში აღრიცხულია სკოლამდელი ასაკის 667 ათასი ბავშვი, აქედან სკოლამდელ დაწესებულებებში ჩაბმულია 112.690, ე. ი. 16,89 პროცენტი, ამ დაწესებულებათა გარეთ დარჩენილია 554.310 ბავშვი, მაშინ, როცა საბავშვო ბაღებში ბავშვთა ჩაბმის საშუალო საკავშირო მაჩვენებელი შედარებით დიდია. გამოდიან რა აქედან, რესპუბლიკის საბირეტიო ორგანოები ითვალისწინებენ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებებს ქსელის მნიშვნელოვან გაფართოებას, განსაკუთრებით მომდევნო ხუთწლეულში.

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, ჩვენთან თითქმის არ არის გამოყენებული მშენებარე შენობების პირველი სართულები ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მოსაწყობად, რაზედაც არსებობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება. მართალია, ცალკე მდგომარე საბავშვო დაწესებულება ყოველმხრივ უკეთესია, მაგრამ ისეთ მჭიდრო დასახლებულ ქალაქებში, როგორიც არის თბილისი, ქუთაისი, სოხუმი და სხვ, ეს ღონისძიება საგრძნობლად გაუთბობესებდა არსებულ მდგომარეობას სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის გაფართოების თვალსაზრისით.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში კვლავ დაადასტურა სათანადო ორგანოებს ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულება.

საჭიროა საპროექტო ორგანოებს დაეკალოთ საცხოვრებელი ბინების პირველ სართულებში შესაფერისი პროექტის დამუშავება ისე, რომ იქ განლაგებულ საბავშვო ბაღს მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ გაგვაჩნია საბავშვო ბაღების საკუთარი ტიპური პროექტები. ქართველმა არქიტექტორებმა ხელი უნდა მოჰკიდონ ამ საქმეს და ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით დაამუშაონ როგორც დღის, ისე სადღეღამისო საბავშვო ბაღის შენობების ტიპური პროექტები.

საბავშვო ბაღების გაფართოების მიზნით უნდა მოეწყოს ზოგიერთი საბავშვო ბაღის შენობაზე მიშენება ან დაშენება. საჭიროა აგრეთვე საბავშვო ბაღების შენობებიდან, სადაც ამას აქვს ადგილი, გაყვანილ იქნან მობინადრეები და კერძო დაწესებულებები. მაგალითად, ლენინის რაიონის 62-ე საბავშვო ბაღში მოთავსებულია ცენტრალური ბუხჰალტერია, მაშინ როცა ბაღს ფართობის მხრივ ძალიან უჭირს. ამავე დროს აუცილებლად მიგვაჩნია სხვა უწყების სამინისტროებმა, საწარმო-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებმა გაზარდონ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმები.

სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასთან და მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან ერთად რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ამ დაწესებულებებში სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის ამაღლებისათვის, რის შედეგადაც ამ უკანასკნელ წლებში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

წინა წლებთან შედარებით ახლა უკვე არის გადაწყვეტილი ამ დაწესებულებების პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის საქმე. სკოლამდელ დაწესებულებებში ბოლო დროს ძირითადად ინიშნებიან სპეციალური და უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირები. უკვე 10-12 წელია, რაც სკოლამდელ მუშაკთა მომზადება სპეციალურ პედაგოგიურ სასწავლებელში მთლიანად საშუალო განათლების ბაზაზე წარმოებს. ამასთანავე სკოლამდელი კადრების გადამზადების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სპეციალური კურსები, ხოლო საგრეიტიო ორგანოების გადაწყვეტილებით, მომავალი, 1968-69 სასწავლო წლიდან პედაგოგიურ ინსტიტუტებთან უნდა მოეწყოს „სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის“ ფაკულტეტები. ეს საშუალებას მოგვცემს მოვამზადოთ უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე კადრები.

ბევრი რამ გაკეთდა სკოლამდელი განათლების თეორიული პრობლემების კვლევის საქმეშიც. შექმნილია კბილტალური ნაშრომი. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის შესახებ. ბავშვთა აზროვნების საკითხებზე ჩვენი გამოჩენილი ფსიქოლოგის დ. უზნაძის გამოკვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ბავშვთა აღზრდის მთელი რიგი პრობლემური საკითხების სწორად გადაჭრა. ამასთან ერთად შემუშავებულ იქნა ორიგინალური კონსტრუქციის დიდაქტიკური მასალათა სერიები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მეთოდური ხასიათის ლიტერატურის გამოცემა. ამ უკანასკნელ წლებში გამოიცა „აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღებისათვის“, „მეტყველების განვითარება და შემობილიური ენის სწავლების მეთოდიკა საბავშვო ბაღში“, მხატვრულ მასალათა კრებული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და სხვ.

სკოლამდელთათვის ქართულ ენაზე დიდი რაოდენობით გამოდის მხატვრული ლიტერატურა. შექმნილია საბავშვო სასიმღერო და საცეკვაო მუსიკის მდიდარი რეპერტუარი.

სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას საგრძნობლად შეუწყო ხელი ამ დაწესებულებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობის გაძლიერებამ: განათლების სამინისტროში ჩამოყალიბდა სკოლამდელი განყოფილება, შეიქმნა სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური კაბინეტი. მათთან ერთად, საქართველოს პედაგოგიკის სპეციალურ-საკვლევი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები ნაყოფიერ მუშაობას უწევენ ადგილებზე სკოლამდელი მუშაკებისადმი ოპერატიული დახმარების, მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადების, სკოლამდელ მუშაკთა დადამზადების, მათი ზოგადი განათლების დონისა და პედაგოგიური დახელოვნების ამაღლების მიზნით.

სკოლამდელ დაწესებულებათა თანდათანობით მზარდი განვითარების პირობებში მრავალი მოწინავე, თეორიულად კარგად მომზადებული და თავის საქმეში პრაქტიკულად ჯეროვნად დახელოვნებული მუშაკი აღიზარდა, რაზეც ნათლად მეტყველებს საბავშვო ბაღების აღმზრდელების სულ უფრო და უფრო აქტიური მონაწილეობა პედაგოგიურ კითხვებში, სადაც ბევრი მათგანი აღზრდის სხვადასხვა საკითხზე კარგად დამუშავებული, საინტერესო მოხსენებებთან გამოდის.

სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკებს დიდად დაეხმარება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დარგობრივ-მეთოდიკური დამატების „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდის“ გამოცემა, რითაც სკოლამდელი აღზრდის მუშაკებს თავიანთი მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთგაზიარების ფართო შესაძლებლობა მიეცემათ.

ახლა ბევრი საბავშვო ბაღი, არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც, დამაკმაყოფილებლად ართმევს თავს მის წინაშე დასახულ ამოცანებს. ბევრ სკოლამდელ დაწესებულებაში კარგად არის მოწყობილი აღზრდის ცალკეული დარგები — ფიზიკური აღზრდა, ბუნებაში მუშაობა, შრომითი აღზრდა, მუშაობა ცოდნის ელემენტარული უნარ-ჩვევების დაუფლებაზე და სხვ.

როგორც მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღის მთავარი ამოცანაა ჯანსაღ ნიადაგზე დააფუძნოს ბავშვის ზნეობრივი განვითარება, შექმნას სათანადო პირობები, რათა ბავშვის გონებრივი განვითარება, მისი ასაკის შესაბამისად, ნორმალურად წარიმართოს. აქასთანავე სკოლამდელი ასაკი ფიზიკური აღზრდის თვალსაზრისით განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს და ამიტომ ფიზიკური აღზრდა სკოლამდელი აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

უნდა ითქვას, რომ სკოლამდელი აღზრდის მუშაკების უმრავლესობას კარგად აქვთ შეგნებული მუშაობის ეს მხარე და პასუხისმგებლობითაც ეკიდება ამ საქმეს.

საბავშვო ბაღების გარკვეულ ნაწილში ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა ფიზიკური აღზრდისათვის. ისინი უზრუნველყოფილი არიან ფიზკულტურული იარაღებით და დანადგარებით, იცავენ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, დიდ ყურადღებას აქცევენ დღის რეჟიმის ზუსტად დაცვას. ბავშვის ორგანიზმის გაკაჟებისათვის სისტემატურად იყენებენ ბუნებრივ ფაქტორებს, ვარჯიშს, თამაშს და სხვ. ქ. თბილისის № 14 საბავშვო ბაღში ფიზიკურ აღზრდაში ნაყოფიერი ექსპერიმენტები მუშაობა მიმდინარეობს.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საკითხი ისე ფართო მასშტაბით არ არის გადაჭრილი, როგორც საჭიროა. ზოგიერთი აღმზრდელი კარგად ვერ ერკვევა ფიზიკური აღზრდის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე მოთხოვნებში და მხოლოდ დილის ვარჯიშითა და ჩატარებული მეცადინეობით კმაყოფილდება, მთელი დღის განმავლობაში ჩაკეტილ ოთახში მუშაობს ბავშვებთან, საკუთარი სიმშვიდისათვის ზღუდავს ბავშვის მოძრაობებს.

სკოლამდელ დაწესებულებაში ფიზიკური აღზრდის ნორმალურად წარმართვას ხელს უშლის ზოგიერთი ობიექტური მიზეზიც, რომელთა გამოსწორება ჯერჯერობით ისევ პრობლემად რჩება. ბევრი სბავშვო ბაღი უზრუნველყოფილი არ არის ბავშვთა ფიზიკური განვითარებისათვის საჭირო სპორტული იარაღებითა და ხელსაწყოებით. ასეევე არ დაჩნინდ ბავშვის ასაკის შესაფერი ზომის დგამ-ავეჯი, რის შედეგადაც ზშირად ბავშვებს სკოლაში სკოლიოზი უვითარდებათ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამდელი დაწესებულებები მოკლეა ულიარიან ლიტერატურას ფიზიკური აღზრდის საკითხებზე. საჭიროა ფიზკულტურის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები უფრო მეტად დაინტერესდნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფიზიკური აღზრდის საკითხით და მეტი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა მიაწოდონ სკოლამდელ მუშაკებს აღნიშნულ საკითხზე.

ფიზიკური განვითარების პარალელურად დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა გონებრივი განვითარებას, მათს ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას. მთავარი წყარო ბავშვის გონებრივი განვითარებისათვის, როგორც მოგეხსენებათ, არის მშობლიური ენა, რომლის შესწავლა რესპუბლიკის საბავშვო ბაღებში სათანადო დონეზეა დაყენებული. სკოლამდელი მუშაკები მშობლიური ენის შესწავლისათვის, ბავშვთა მეტყველების განვითარებისათვის იყენებენ სხვადასხვა სახის შეცადინეობას, თამაშებს, შრომითს საქმიანობას და იმ გარემო პირობებს, სადაც საბავშვო ბაღს უხდება მუშაობა.

ბევრ აღმზრდელს მდიდარი გამოცდილება აქვს ამ საქმეში. სკოლამდელი აღზრდის მუშაკები გამოცდილების ურთიერთგაზიარების ტრიბუნად ფართოდ იყენებენ პრესას, მეთოდგაერთიანებებს, პედაგოგიურ კითხვას, რომელიც ეწყობა როგორც რაიონული, საქალაქო, ისე რესპუბლიკური და საკავშირო მასშტაბით, მაგალითად, პრაქტიკული გამოცდილებით მდიდარი მოხსენება წაიკითხა რესპუბლიკურ სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე ქ. გორის სბავშვო ბაღის აღმზრდელმა ნ. მახარობლიძემ — „როგორ ვმუშაობ ბავშვებთან ბგერების სწორ წარმოთქმაზე“; სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე განზოგადებულ იქნა ქ. თბილისის № 1 საბავშვო ბაღის გამგის ქ. კაკუშაძის გამოცდილება „ლეგოს სწავლების მეთოდიკა საბავშვო ბაღში“. დიდი ექსპერიმენტული მუშაობა გასწია № 1 საბავშვო ბაღში ინანის შესწავლის საკითხზე აღმზრდელმა მ. კუტუბიძემ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელი ნ. კარჭავა.

მიუხედავად გარკვეული მიღწევებისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი აღმზრდელის მეტყველების კულტურის დონე მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. უფრო მეტად სოფლებში მომუშავე აღმზრდელები კარგად ვერ ფლობენ ლიტერატურულ ენას და საუბარში დიალექტურ გამოთქმებს იყენებენ. ზოგი სათანადოდ ვერ ერკვევა მშობლიური ენის სწავლების მეთოდებსა და ხერხებში. განათლების ორგანოები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

ანალოგიური მუშაობა მიმდინარეობს სბავშვო ბაღებში მათემატიკურ წარმოდგენათა განვითარების საკითხზე, რასაც ბავშვის გონებრივი განვითარებისათვის არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს. ქართველ სკოლამდელ მუშაკებს ორიგინალური მეთოდი აქვთ თვლა-ანგარიშის სწავლებისათვის, რომელიც შემუშავებულია პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ნ. ლექავას მიერ. ამ მეთოდის მიხედვით თვლა-ანგარიშის სწავლება სბავშვო ბაღში კარგ ეფექტს იძლევა, დიდად უწყობს ხელს ბავშვის ინტელექტის განვითარებას.

ბავშვის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისა და მისი ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით სკოლამდელ დაწესებულებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახვით საქმიანობისათვის. სახვითი საქმიანობის სწავლება სკოლამდელ დაწესებულებებში ძირითადად მეცადინეობისას ხორციელდება. ნაწილი ბავშვებისა თავისუფლად ქმნის მარტივ კომპოზიციებს, თავიანთ ჩანაფიქრში პრიმიტიულად, მაგრამ გონივრულად ასახავს ჩვენი ქვეყნის ლამაზ ბუნებას და ადამიანის შრომა-საქმიანობას. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა ხშირად ეწყობა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე რესპუბლიკის გარეთ, მაგალითად, 1962 წელს გამოფენა მოეწყო საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ბავშვთა ნამუშევრები ხშირად იგზავნება ქ. მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ჩვენი რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელების ო. ხუსიკიძისა, ე. თაქთაქიშვილის, რ. თეკნაძის (ქ. თბილისი), ა. დრობჩუკის, ნ. შელიას (აფხაზეთის ასსრ) გამოცდილება სახვითი ხელოვნების ელემენტების სწავლების შესახებ განზოგადებულ იქნა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ქ. მოსკოვში. ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ბუნებრივ მასალებზე მუშაობას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სკოლამდელ დაწესებულებებს ბევრი დაბრკოლება ხვდებათ სახვითი საქმიანობისათვის საჭირო სასწავლო ნივთების (ფუნჯები, საღებავები, ფერადი ფანქრები, სახატავი და ფერადი ქაღალდი) შეძენის საქმეში. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული საქონელი არ იყიდება ცენტრალიზებული წესით, ხოლო სბავშვო ბაღის გამგეს სხვადასხვა მაღაზიაში ფულის ჩარიცხვისა და საქონლის ხელზე შეძენის უფლება არა აქვს. სასწავლო ნივთებით მომარაგების საქმე დადად გაუმჯობესდება, თუ მისი ფონდები გადაეცემა განათლების სამინისტროს მომარაგების სამმართველოს.

შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენებისა და განვითარების შესაძლებლობა ბავშვებს ეძლევათ აგრეთვე მუსიკის გაკვეთილებზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მუსიკალურ აღზრდას ჩვენს რესპუბლიკაში კარგი ტრადიცია აქვს.

მუსიკალური აღზრდის გამოცდილება არაერთხელ იქნა განზოგადებული ქ. მოსკოვში საავშვო კონფერენციებზე, თათბირსემინარებსა თუ პედაგოგიურ კითხვებზე. კომპოზიტორები ქ. გალუბიშვილი, დ. ჩხეიძე, ქ. ანდრონიკაშვილი და სხვები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან. ისინი მჭიდრო კონტაქტში არიან სკოლამდელ დაწესებულებებთან და ბავშვებისათვის შესანიშნავ მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიან.

რამდენიმე სიტყვა ესთეტიკური აღზრდის შესახებ, რაც დღეანდელი დღის მეტად აქტუალური საკითხია. სკოლამდელ დაწესებულებებში ესთეტიკური აღზრდის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ამ უკანასკნელ წლებში. პირველი მასობრივი ღონისძიება, რამაც ერთგვარი გარდატეხა მოახდინა ამ საქმეში, ეს არის სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრული გაფორმების რესპუბლიკური დათვალიერება. ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით სბავშვო ბაღებს დიდი დახმარება გაუწიეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომებმა, საშფო ორგანიზაციებმა და მშობელთა კომიტეტებმა. სკოლამდელი დაწესებულებების ბევრი შენობა შეკეთდა, მოწესრიგდა ეზოები, მაღალი გემოვნებით გაფორმდა სბავშვო ბაღების ოთახები. თუ მანამდე ესთეტიკურ მოთხოვნას თავისი გაფორმებით რამდენიმე სბავშვო ბაღი აკმაყოფილებდა, დღეისათვის კეთილმოწყობილ სკოლამდელ დაწესებულებათა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით გაფორმების შესაძლებლობა მეცა თითქმის ყველა ტიპური პროექტით აშენებულ სბავშვო ბაღს. ფერთო, ნათელი, მზიანი ოთახები და ახალი ინვენტარი ამის შესაძლებლობას თავიანთ სუფლად იძლევა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მარტო შენობა არ არის გადამწყვეტი. მთავარია, მუშაკების დაინტერესება, რის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ახალციხის № 4 სბავშვო ბაღი (გამგე ნ. სანიშვილი). მიუხედავად ამისა, რომ ეს სბავშვო ბაღი მოთავსებულია ოროთახიან შენობაში, ეზოში შესვლისთანავე იგრძნობა განსაკუთრებული წესრიგი, სისუფთავე, სილამაზე.

სკოლამდელი დაწესებულებების თანამედროვე ესთეტიკური მოთხოვნების შესაფერისად მოწყობის საქმით დიდად არის დაინტერესებული ზოგიერთი უწყების ხელმძღვანელობაც. მაგალითად, არ შეიძლება სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ სბავშვო ბაღის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საკავშირო დათვალიერებაზე დაიკავა III ადგილი და მიიღო დიპლომი, ვიმეორებ და ფულადი პრემია. ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და უწყებები, რომლებიც დაინტერესებული არიან სბავშვო ბაღის კეთილმოწყობით. მაგრამ დასამალავი არ არის ის ფაქტი, რომ სოფლის სბავშვო ბაღების 50 პროცენტზე მეტი მოუწესრიგებელია და მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს ესთეტიკურ მოთხოვნებს. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ როგორც რაიონული აღმასკომები, ისე საბჭოთა მეურნეობები სათანადო დახმარებას ვერ უწევენ მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში, აგრეთვე ისეთი საკითხების მოგვარებაში, რომლებიც ადგილზე უნდა გადაიჭრას, მაგალითად, მარნეულის რაიონის ალგეთის მერძევეობა-შებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის სბავშვო ბაღში ბავშვები ოთახში, ანთებულ თუნუქის ღუმელთან, ქუდებით, პალტოებითა და ტალახიანი ფეხსაცმლით თამაშობენ. ამის გამო, რომ ყველა ბავშვს არა აქვს საკმარი, ნაწილი ფეხზე დამდგარი ჭიმს საჭმელს. არავითარი ყურადღება არ ექცევა ოთახის გაფორმებას. ჯგუფში ანტისანიტარიაა. ინალოგიური შეთბესებები ზოგჯერ სხვა რაიონებშიც არის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულების გამგე თუ აღმზრდელი მხარდამხარ ვერ მიჰყვება ცხოვრებას, ნაკლებად მუშობს თავის თავზე და ჩამორჩენილობას იჩენს მუშობაში, უყურადღებობას იჩენს საქმეში.

სკოლამდელ დაწესებულებებში საფუძველი ეყრება ბავშვთა მორალურ აღზრდას, მათთვის სამართლის, პატიოსნების და შრომის სიყვარულის ჩანერგვას, კულტურული ქცევის გამომუშავებას.

ყველა ამ საკითხზე შეუძლებელია მოხსენებაში შეეხერდეთ, მაგრამ აღზრდის კიდევ ერთ, მთავარ საშუალებაზე — თამაშზე შეეჩერებ თქვენს ყურადღებას.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე აღნიშნავდა, რომ „თამაში შეიძლება ითქვას, ერთადერთი სინამდვილეა, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და ერთადერთი პრაქტიკის ფორმა, რომლის ნიადაგზეც მისი განვითარება მიმდინარეობს“. კარგ თამაშს კი კარგი სათამაშო სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი დაწესებულებები ბოლო დროს უკეთ მარაგდებიან სათამაშოებით, მაინც ჯერ კიდევ არ გვყოფნის სათამაშოები და, რაც მთავარია, ბევრი მათგანი ძალიან უხარისხოა. სათამაშოებს ხშირად ქმნიან ავტორები, რომლებიც არ იცნობენ სკოლამდელ დაწესებულებათა მოთხოვნილებებს და ზოგჯერ განათლების სამინისტროსთან არსებულ სათამაშოთა სამხატვრო კომისიას დასამტკიცებლად უდგენენ შეუფერებელ სათამაშოთა ნიმუშებს.

ისეთი შემთხვევებიც არის, როცა ცალკეული საწარმოები მასობრივად უშვებენ სათამაშოებს, რომლებიც სამხატვრო კომისიის მიერ არ არის დამტკიცებული.

რესპუბლიკის ყველა უწყების სკოლამდელი დაწესებულებებისადმი მეთოდური დახმარებისა და კონტროლის განხორციელება დაკისრებული აქვს განათლების სამინისტროს. აბარაში კი მხოლოდ სამი ინსპექტორი მუშაობს ამ ხაზით, ხოლო რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებს სპეციალური სკოლამდელი ინსპექტორი არა ჰყავთ. ამის ისიც ეშალება, რომ სხვა უწყებებიდან, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გარდა, არც ერთს არა ჰყავს სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორი და საჭმეს არასპეციალისტები ხელმძღვანელობენ. ამიტომ საჭიროა, რომ ადგილობრივი საბჭოები მეტად დაინტერესდნენ ამ დაწესებულებათა მუშაობით, უფრო ქმედითი დახმარება გაუწიონ მათ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილი აქვს უახლოეს ხანში დიდ რაიონებსა და ქალაქებში ვახსნას სკოლამდელი აღზრდის კაბინეტები. მაგრამ ვინაიდან სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი ბოლო დროს მნიშვნელოვნად იზრდება, საჭირო იქნება იმ რაიონებში მაინც, სადაც 15 სკოლამდელ დაწესებულებაზე მეტია, განათლების განყოფილებებს დაემატოს სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორის შტატი.

ამ უკანასკნელ წლებში, როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამდელ დაწესებულებებში ძირითადად ინიშნებიან სპეციალური და უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირები, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებით სხვა უწყებათა ბაღებში, ვხვდებით უხეშ დარღვევებს კადრების დანიშვნის საქმეში. მაგალითად, მეხეთის რაიონის საბჭოთა მეურნეობების საბავშვო ბაღების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ აღზრდელებად და გამგეებად დანიშნული არიან საშუალო განათლების ვეტერინარი, სავაჭრო ტექნიკუმის კურსდამთავრებული, მედიცინის დები და საშუალო ზოგადი განათლების მქონე პირები, რომლებიც სრულებით არ იცნობენ მუშაობის სპეციფიკას. ასეთივე მდგომარეობაა მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობების საბავშვო ბაღებშიც, აგრეთვე დმანისის რაიონის სოფელ ეკეკის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში, სადაც გამგედ დანიშნული იყო საშუალო განათლების მქონე მამაკაცი, რომელმაც, ბუნებრივია, სულ ვერ გაიროვა თავი მუშაობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება სბავშვო ბაღების მნიშვნელობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის საქმეში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება, რომ ყველა ბავშვი სკოლისათვის ბაღებმა მომაზადონ. განათლების სამინისტროს კიდევაც განზრახული აქვს სბავშვო ბაღებში შექმნას სკოლისათვის სპეციალურად მოსამზადებელი ჯგუფები. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება ყველა სბავშვო ბაღის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაცემა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთიანი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

აქვე დავძენთ, რომ სბავშვო ბაღების სხვადასხვა უწყებათა სისტემაში გადაცემის შემდეგ საგრძნობლად გაუარესდა ბავშვთა მომსახურება სბავშვო ბაღებით, განსაკუთრებით სოფლად.

მეორე მხრივ 7 წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ბავშვების გაერთიანებამ სბავშვო ბაღებთან (ამჟამად რესპუბლიკაში 164 ბაგა-ბაღია 22.300 ბავშვით) სასურველი შედეგი ვერ მოგვცა ვინაიდან ბავშვს 2 წლის ასაკამდე მაინც სჭირდება, პირველ რიგში, გაძლიერებული სამედიცინო მომსახურება, რაშიაც ჯანმრთელობის ორგანოებს მეტი გამოცდილება და შესაძლებლობა აქვთ. აქვე ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ 1 ბავშვის შენახვა ბაგა-ბაღში სახელმწიფოს უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე ცალცალკე ბაგასა და ბაღში. მაგალითად, 1968 წლის ბიუჯეტით ბაგა-ბაღის შენახვაზე ქალაქად 200 ბავშვზე საშუალოდ გათვალისწინებულია 61.200 მანეთი, მაშინ როცა, ცალცალკე 100-ბავშვიან ბაგასა და 100-ბავშვიან ბაღზე გათვალისწინებულია სულ 56.200, ანუ 6.000 მანეთით ნაკლები.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სათანადო ორგანოების წინაშე დასმულიყო საკითხი ყველა სბავშვო ბაღის განათლების ორგანოების სისტემაში. გადაცემის, ხოლო სბავშვო ბაგების ჯანმრთელობის ორგანოების სისტემაში დაბრუნების შესახებ.

სამედიცინო მომსახურება სბავშვო ბაღებში საერთოდ გაუმჯობესდა. ამის შედეგად, რომ მშობლებთან ერთად სკოლამდელი დაწესებულებები უხეშად არიან ფაქტიურად ბუნებრივ-ეკონომიურ ღონისძიებებს ახორციელებენ, უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა ბავშვთა დაავადების შემ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი

დეპუტატ ლ. ა. საყვარელიძის მოხსენების დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ წლებში ბავშვთა ბაღებში საგრძნობლად შემცირდა ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა, რაც საშუალო რესპუბლიკური მონაცემების მიხედვით 11,5 პროცენტს უდრის.

ვერც სამბავშვო ბაღების მატერიალური ბაზა აკმაყოფილებს სათანადო მოთხოვნილებებს. მათი უმრავლესობა, ისე როგორც ბაგები, მოთავსებულია მათთვის სრულად შეუფერებელ პირობებში. მაგალითად, ქ. თბილისში არსებული 115 სამბავშვო ბაღიდან 76 მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ შენობაში. მათ შორის 50-ს შენობის ნაწილი უქირავს და იზოლირებული არ არის.

ქ. თბილისის № 101 სამბავშვო ბაღი მოთავსებულია საცხოვრებელი სახლის შენობაში. თითო ბავშვზე მოდის 0,8 კვადრატული მეტრი ფართობი, არადამაკმაყოფილებელია ბუნებრივი და ხელოვნური განთება, მოუწესრიგებელია კანალიზაცია. საპიროფარეშო ერთია ბავშვებისა და თანამშრომლებისათვის. ბავშვების მისაღები, ექიმის და გამგის სამუშაო კუთხე მოწყობილია ერთ გასასვლელ ოთახში.

ჭერი და კედლები დანგრეულია იატაკი ამოცვენილი. ხოლო ეზო სრულებით არ არის. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის № 12, № 57, ქ. სოხუმის, ქ. ბათუმის, ცხინვალის, მცხეთის, გარდაბნის და სხვა სამბავშვო ბაღებში.

მთელ რიგ სამბავშვო ბაღებში ირღვევა დღის რეჟიმი, მთელი დღის განმავლობაში ბავშვებს არ აძინებენ. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით შეუწყნარებელია უმცროსი ჯგუფების ბავშვებისათვის.

ფართობის სიმცირის გამო, ქ. თბილისის № 16, გარდაბნის რაიონის ჯანდრის და ულიანოვკის სამბავშვო ბაღებში თვითეულ საწოლზე ორ-ორ ბავშვს აწვენენ.

ეს მდგომარეობა უარესდება იმითაც, რომ ასეთ სამბავშვო ბაღებში იღებენ გთვალისწინებულზე გაცილებით მეტ ბავშვს. მაგალითად ქ. თბილისის № 53 სამბავშვო ბაღში 125 ბავშვის ნაცვლად მიღებულია 436; № 1-ში 125-ის ნაცვლად 340; № 47-ში 75-ის ნაცვლად 213 და ა. შ.

ცხადია, ყოველივე ეს ხელს უშლის ბავშვების აღზრდის, მოვლისა და სამედიცინო მომსახურების სწორ ორგანიზაციას. როგორც ბაგებში, ისე ბაღებში ჯგუფური იზოლაციის დაუცველობა ზრდის ინფექციის გავრცელების საშიშროებას, ხოლო ინფექციის გავრცელების შემთხვევაში კარანტინის გამო გაცდენილ დღეთა რაოდენობას.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ქსელის ზრდას ხელს უშლის ისიც, რომ ყველგან არ სრულდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ახალ საცხოვრებელ სახლებში პირველი სართულების 5 პროცენტის ამ მიზნით გამოყენების შესახებ.

ბავშვთა სწორი აღზრდა, მათთვის აღმზრდელობითი ელემენტარული - ჩვევების გამომუშავება სკოლამდელი დაწესებულებების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა, საფუძველშივე მცდარია აზრი, თითქოს ბავშვის მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელება საჭირო იყოს მხოლოდ 2-3 წლის ასაკიდან. რასაკვირველია, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ღონისძიებანი დიფერენცირებულად უნდა ხორციელდებოდეს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, მაგრამ ბავშვის აღზრდა უკვე 3-4 თვის ასაკიდან არის საჭირო.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბავშვთა დაწესებულებებში? ბავშვთა ბაგებში აღმზრდელებად ძირითადად მუშაობენ საშუალო სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლები, ხოლო პედაგოგებად უმაღლესი განათლების მქონე პირები (ფილოლოგები, ფსიქოლოგები). ბაგის აღმზრდელები სისტემატიურად და სათანადო სწავლების გავლის შემდეგ შედარებით დამაკმაყოფილებლად ერკვევიან თავიანთ მოვალეობაში და ძირითადად სწორად წარმართავენ ჩვილი ასაკის ბავშვთა აღზრდის ორგანიზაციას, რასაც ვერ ვიტყვით ბაგა-ბაღებში მომუშავე აღმზრდელებზე.

ბაგის ასაკის ბავშვთა ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებათა გამო, რასაკვირველია, ელემენტარული აღმზრდელობითი ჩვევების გამომუშავება ბავშვებში უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი მოვლის საქმესთან და, ცხადია, მას უკეთ გაუძღვება სამედიცინო პერსონალი. ეს ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმის აუცილებლობაზე, რომ ბავშვების ხელმძღვანელობისა და მათი ჭსელის გაზრდის საქმე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გამგებლობაში უნდა იყოს.

აღმზრდელობით ღონისძიებებთან დაკავშირებით ამ შეიძლება არ შეეჩერდეთ სამბავშვო დაწესებულებებისათვის დეფიციტური მასალის მიწოდებასა და არსებობაზე:

მთელი რიგი სამბავშვო დაწესებულებები არადამაკმაყოფილებლად არიან უზრუნველყოფილნი აღმზრდელობითი თვალსაჩინოებებით. არასაკმარისია ან ასაკისათვის შეუფერებელია სათამაშოები, რომლებიც ძირითადად კარადებში ინახება — ბაგებისა და ბაგა-ბაღების ფართობის სიმცირის გამო ამ სათამაშოებსაც ვერ იყენებენ სათანადოდ.

აქვე უნდა შეეჩერდეთ ბავშვთა დაწესებულებების სათანადო რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხზე. როგორც ბავშვთა ბაგებში, ისე ბაგა-ბაღების ბაგის ჯგუფებში და სამბავშვო ბაღებში საჭირო სპეციალური მაგარი ინვენტარის (მანეჟი, საცურავი, გორაკი, ასაკის შესაფერი სიმაღლის მაგიდები, სკამები და სხვ.) ნაკლებობაა. ნაცვლად სამი ზომისა, ძირითადად აქვთ მხოლოდ ერთი ან ორი ერთმანეთთან შეუსაბამო ზომის აეჯი, რაც ბავშვთა საყრდენ-მამოძრავე ბ ე ლ ი აპარატის დეფექტების განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს. ასეთ შემთხვევაში არა იშვიათია ბავშვთა ტანადობის დარღვევა და ხერხემლის გამრუდება, არსებული ინვენტარის ხარისხიც დაბალია და ვადაზე ადრე გამოდის ხმარებიდან.

ბავშვთა ნორმალური ფიზიკური განვითარებისათვის, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა მათი კვების სწორ ორგანიზაციას აქვს. ამ მხრივ ბაგების მუშაობაში, ისევე როგორც საერთოდ ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებაში, გარკვეული ნაკლოვანებები გვაქვს.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როდესაც საჭირო ორგანიზაციები დროულად და სრულად, სათანადო ასორტიმენტის დაცვით ვერ უზრუნველყოფენ აღსაზრდელთა მომარაგებას კვების პროდუქტებით, რის გამო მათი კვება ძირითადად ერთფეროვანია და ხშირად დიდი რაოდენობით ნახშირწყლების მიღებით შეიოფარგლება, კვების ასეთ პირობებში ბავშვები წონაში იმატებენ, მაგრამ იმის გამო, რომ სათანადო რაოდენობით ვერ იღებენ ცილებს (ეს კი ყველაზე სავალალოა) და ბუნებრივ ვიტამინებს, რაც ხელით და ბოსტნეულით მოემარაგებლობის შედეგია, ხდება ბავშვის ორგანიზმის იმუნობიოლოგიური ძალების შესუსტება, ავადმყოფობის და გარეშოს არახელსაყრელი პირობების გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის უნარის შემცირება, რომ აღარაფერი ვთქვათ ფიზიკური განვითარების შეფერხებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მარტო ბავშვთა ბაგების ნაკლი კი არ არის, იგი ყველა სკოლამდელ დაწესებულებაზე ერთნაირად ვრცელდება, კერძოდ ბაგა-ბაღებზეც, სადაც ბაგის ასაკის ბავშვთა გარკვეული რაოდენობაა. უფრო შეტიც: ბაგა-ბაღებში ბაგის ასაკის ბავშვებისათვის ცალკე არ დგება მენიუ. ბაგა-ბაღების უმრავლესობაში 2-3 წლისა და 6-7 წლის ბავშვები ერთნაირი შემადგენლობის სამედიცინო შემოწმებას. ზოგჯერ ორის ისეთი შემთხვევებიც, რომ მოზრდილებს ეძლევათ კვერცხი, ორაკანი, ხაჩო, ჩვილები კი მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ნახშირწყლოვან კვებაზე არიან დატოვებული.

ბავშვთა კვების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებები, მათი პროდუქტებით ორადამაკმაყოფილებელ მომარაგებასთან ერთად, ნაწილობრივ გამოწვეულია იმითაც, რომ დღიურად კვებისათვის გამოყოფილი თანხა (47-61 კაპიკი) ვერ უზრუნველყოფს ყოველდღიურად საჭირო საკვების შესყიდვას და იძლევა განსხვავების დაახლოებით 14-15 კაპიკის ოდენობით.

საჭიროა გადაისინჯოს ეს საკითხი და გაიზარდოს ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი თანხები, ანდა, თუ ეს ამჟერად შეუძლებელია, ნება მიეცეთ ბავშვთა დაწესებულებებს, ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით დარჩენილი ერთი დღის (შაბათის) კვების თანხა გაანაწილონ კვირის დარჩენილ დღეებზე.

სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე დიდად არის დამოკიდებული მათს სამედიცინო მომსახურებაზე.

დღეისათვის თითქმის ყველა ბავშვთა ბაგა უზრუნველყოფილია სათანადო საექიმო და საშუალო სამედიცინო პერსონალით, მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან არა გვაქვს ბაგის ექიმის განთავისუფლებული მთლიანი საშტატო ერთეული, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ბაგების ადგილების სიმცირის გამო გათვალისწინებულია 0,25 ან 0,5 ექიმის საშტატო ერთეული. ამის გამო ერთ ექიმს 2-3 და ზოგჯერ მეტი ობიექტის მომსახურება უზდება, ან იგი თავის ძირითად შეთავსებით სამუშაოზეა. ცხადია, ეს უარყოფითად მოქმედებს აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების სწორ ორგანიზაციაზე.

ასეთივე მდგომარეობაა ბაგა-ბაღებსა და ბაგებშიც.

ბაგების უმრავლესობაში ექიმებისათვის გამოყოფილია კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო სამედიცინო ინვენტარით და მედიკამენტებით. სამედიცინო პერსონალის საშუალებითვე ეწყობა ავადმყოფთა ბინებზე მიკითხვა, ბავშვის ბაგაში გამოუცხადებლობის მიზეზების დადგენა და საჭირო შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელება.

სამედიცინო პერსონალი ყოველწლიურად აწყობს ბაგების და საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა ყოველმხრივ სამედიცინო შემოწმებას. აკლონებს ჯანმრთელობის მხრივ ნორმიდან გადახრებს და ახორციელებს სათანადო სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

ამის შედეგად უკანასკნელი წლების განმავლობაში ბაგისა და ბაღის აღსაზრდელთა შორის შიგწეულია ფიზიკური განვითარების მონაცემების გაუმჯობესება.

გარკვეულ წარმატებათა მიუხედავად, სკოლამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობაში კვლავ არის მნიშვნელოვანი გადახრები, ნორმიდან, რაც უსათუოდ ყურადღების გამახვილებას საჭიროებს.

თუ ტუბერკულოზით ინტოქსიკაციის მაჩვენებელი შემცირდა, რასაც უდავოდ ხელი შეუწყო სათანადო კონტინგენტის ბავშვებისათვის სპეციალური სანატორიული ტიპის ბაგა-ბაღების დაარსებამ, იგივე არ ითქმის ისეთ გადახრებზე, როგორიც არის მხედველობის დაქვეითება, სმენის დაქვეითება, მეტყველების ანომალიები, ტანადობის დარღვევა და სხვ.

სასურველი იქნებოდა აღნიშნული კონტინგენტის ბავშვებისათვის, ტუბსანატორიული ბაგა-ბაღების ანალოგიურად, შესაბამისი სანატორიული სბბავშვო დაწესებულებების შექმნა რესუბლიკაში.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზაფხულის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას. მართალია, უკანასკნელი წლების განმავლობაში საბაგარაკოდ გაყვანილი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობა სისტემატურად იზრდება (1960 წელს გაყვანილი იყო 35,675 ბავშვი, ხოლო 1967 წელს 54,556 [illegible], ე. ი. 17,881-ით მეტი) და შედეგებიც საკმაოდ დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ის გარეშოუბა, რომ რესპუბლიკაში თითქმის არც ერთ ბაგის, ბაგა-ბაღსა და სამბავშვო ბაღს არ გააჩნია საკუთარი ბაგარაკი, საკუთარი სახლი, სადაც შესაძლებელი იყოს მათი კონტინგენტის ბავშვთა ბანაკი, ხელს უშლის ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას. აღნიშნულ საქმეზე ყოველწლიურად უამრავი თანხა იხარჯება. ერთ ბაგას ბინის დასაქირაველად ყოველწლიურად საშუალოდ ეხარჯება 2-4 ათასი მანეთი, და ასე გრძელდება უკვე 40 წელია.

დაწესებულების ხელმძღვანელები იძულებული არიან იქირავონ ბინები ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. ამასთან ბინები, როგორც წესი, განლაგებულია შუა სოფელში, არა აქვს დამზმარე სათავსები, საბაზარი, პირსახანი, სატუალეტო ოთახი, იზოლატორი, სათანადო კვების ბლოკი და ზოგჯერ ეზოც კი. აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად კიდევ საჭირო წდება დამატებითი თანხის ხარჯვა.

იმის გამო, რომ ადგილზე არა აქვთ საკუთარი შენობები, ბავშვთა დაწესებულებები საბაგარაკოდ მიემგზავრებიან მთელი თავისი ინვენტარით (მაგიდები, კარადები, საწოლები, სკამები, სამზარეულო, სასადილო ჭურჭელი და სხვ.), რაც ერთი მხრივ იწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას მათი გადაზიდვა-გადმოზიდვისათვის და მეორე მხრივ, ხელს უშლის ისედაც უხარისხო და არასაკმარისი ინვენტარის ნაადრევად გაფუჭებას, მწყობრიდან გამოსვლას.

აუცილებლად უნდა გადაიჭრას ბაგების და საერთოდ სკოლამდელი დაწესებულებებისათვის საბაგარაკო ადგილებზე სპეციალური ბინების აშენების საკითხი. ამ საქმისათვის ასიგნებული თანხა, საქმის სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში, მთლიანად ანაზღაურდება რამდენიმე წლის განმავლობაში.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებებზე და მათში აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებაზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ შეეჩერდეთ სკოლამდელ ბავშვთა საკოლმეურნეო მუდმივი ან სეზონური დაწესებულებების მნიშვნელობაზე და მათს ორგანიზაციაზე, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში ჩაბმული 874.600 ქალიდან (1966 წლის მონაცემებით), სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 241.100, რომელთა სკოლამდელი ასაკის ბავშვები ხშირად მოკლებული არიან ყოველგვარ ორგანიზებულ ზედამხედველობას და აღმზრდელობითს ღონისძიებებს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ქალების შრომის ნაყოფიერების ზრდა, მათი მუშაობისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება კი დიდად არის დამოკიდებული სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მოვლა-პატრონობის პირობების გაუმჯობესებაზე.

მართალია, რესპუბლიკაში ზაფხულობით იხსნება ბავშვთა საკოლმეურნეო სეზონური დაწესებულებები, მაგრამ მათი რაოდენობა უკანასკნელ წლებში თანდათან მცირდება.

ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ მახარაძის რაიონი წარმოადგენს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის არსებული 222 სკოლამდელი დაწესებულებიდან ამ რაიონში გახსნილი იყო 130 ობიექტი. ცხადია, მახარაძელთა მაგალითი მისაბაძი უნდა გახდეს სხვა რაიონებისთვისაც.

ასეთი ტიპის დაწესებულებების გახსნა განსაკუთრებით საჭირო და სასარგებლო იქნებოდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის, როგორიც არის გორი, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, წალკა და სხვ.

საჭიროა გადაიჭრას საკითხი საკოლმეურნეო სეზონური სამბავშვო დაწესებულებების მუდმივმოქმედ დაწესებულებებად გადაკეთების შესახებ, როგორც ეს ხდება მახარაძის, გალის და ზუგდიდის რაიონებში. ცხადია, ასეთი ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს კოლმეურნეობის მიერ სათანადო შენობის გამოყოფას, ინვენტარით აღჭურვას და შენახვისათვის საჭირო თანხას. 5-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბავშვთა ყველა დაწესებულებაც 5 დღეს მუშაობს. ამასთან დაკავშირებით ბაგების ყოველდღიური მუშაობის მოცულობა განისაზღვრება 10-11 საათით (გარდა გახანგრძლივებული და დღეღამის ჯგუფებისა). ამ დროის განმავლობაში ბავშვები ისევ სამჯერად კვებაზე იმყოფებიან, მაშინ როცა ყოველი კვირის განმავლობაში აუთვისებელი რჩება შაბათ დღეს დასახარჯი კვების თანხა. თუ მხედველობაში მიიღებთ იმ გარემოებას, რომ ბავშვთა კვების თანხა ისედაც ვერ ფარავს დღიური რაციონის შესასყიდ რაოდენობას, აგრეთვე მომარაგებაში არსებული ნაკლოვანებების გამო ყოველთვის არ არის შესაძლებელი ბავშვების რაციონალური კვების ორგანიზაცია, შაბათს გამოთავისუფლებული კვების თანხის დანარჩენ დღეებში გამოყენება საკვების მეტი რაოდენობის შესაძენად ნაწილობრივ გაათანაბრებსადა არსებულ მდგომარეობას და შესაძლებლობას მოგვცემდა ბავშვები ოთხჯერად კვებაზე გადაგვეყვანა.

ზაფხულის სეზონურ სამუშაოებთან, ან საწარმო-დაწესებულებების მუშაობის სპეციფიკურობასთან დაკავშირებით, საჭიროება მოითხოვს ბავშვთა დაწესებულებებში ბავშვთა დაყოვნების დროის გადიდებას 12 საათამდე, მაგრამ არსებული საშტატო პერსონალი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაო დღის მიხედვით ვერ უზრუნველყოფს ამ საჭირო ღონისძიების განხორციელებას. ამიტომ უნდა გადაიჭრას საკითხი ისეთ სამბავშვო დაწესებულებებში სამშტატო ერთეულების მომატების შესახებ.

ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის ზრდას დაგეგმვის, აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების, აღზრდის, კვებისა და მოვლის პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია:

1. რესპუბლიკაში არსებული ყველა ბავშვთა ბაგა გადაეცეს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ამავე სამინისტროს მიენიჭოს ბავშვთა გადაბესთვის ახალ ნაგებობათა შენენებლობის უფლება, რაც უნდა ითვალისწინებდეს სათანადო დაფინანსებასა და პროექტირებით უზრუნველყოფას.

2. აღსაზრდელთა ზაფხულის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა უკეთ ორგანიზაციის მიზნით მოეწყოს მათთვის საკუთარი აგარაკების შენენებლობა და გამოიყოს ამისათვის სათანადო ასიგნება.

3. მთავრობის დადგენილების შესაბამისად სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების ბანახსნელად ახლადაგებულ საცხოვრებელ სახლებში გამოიყოს პირველი სართულების 5 პროცენტი.

4. ხუთდღიან სამუშაო კვირასთან დაკავშირებით შაბათს გამოთავისუფლებული კვების თანხა გადანაწილდეს დანარჩენ დღეებზე.

5. დაისვას საკითხი საკავშირო ორგანოების წინაშე ბავშვთა კვების პროდუქტებით უკეთ მომარაგების მიზნით.

6. შემოღებულ იქნას სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მომვლელი პერსონალისათვის ერთჯერადი ფასიანი კვება.

7. დაისვას საკითხი ბაგებისა და ბაგა-ბაღებისათვის დამზადებული მაგარი ინვენტარის ფორმის, ხარისხისა და ზომების გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ.

8. განხილულ იქნას საკითხი ქ. თბილისში მეტყველების დეფექტების მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის ერთი სანატორიული ტიპის ბაგა-ბაღის გამოყოფის შესახებ.

9. იდგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა ბაგების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას და იდგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიკუთონ სათანადო ასიგნებანი შენობებისკაპიტალური რემონტის ჩასატარებლად, წყლით, გათბობითა და კანალიზაციით უზრუნველსაყოფად და ეზოს კეთილმოსაწყობად. (ტასი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. მ. ბუაჩიძის თანამოხსენება

ამხანაგებო!

ნორჩი თაობისათვის ზრუნვა ყოველთვის იყო და იქნება სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

თუ ოქტომბრის რევოლუციამდე მეფის რუსეთში მხოლოდ 275 სამბავშვო ბაღი და მოედანი იყო 7.000 ადგილით, ამჟამად საბჭოთა კავშირის სამბავშვო ბაგებსა და ბაღებში 9 მილიონამდე ბავშვია, ხოლო 1970 წლისათვის სკოლამდელი სამბავშვო დაწესებულებებით ისარგებლებს ჩვენი ქვეყნის 12 მილიონზე მეტი ყველაზე ნორჩი მოქალაქე.

საყოველთაო ზრუნვით არიან გარემოსილნი ბავშვები ჩვენს რესპუბლიკაშიც. საკმარისია ითქვას, რომ 1968 წელს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს შეემატება 27 სამბავშვო დაწესებულება 4.270 ადგილით.

მართალია, სამბავშვო ბაგებისა და ბაღების რაოდენობა ფიზიკურობით საკმარისი არ არის, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველა ზომას იღებს იმისათვის, რომ მოთხოვნილება სამბავშვო დაწესებულებებზე მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს, რომ მათი მუშაობის ხარისხი სულ უფრო გაუმჯობესდეს.

ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღევანდელ სესიაზე განვიხილავთ რესპუბლიკაში სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საკითხს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივმა კომისიამ შეისწავლა სამბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების მუშაობა ქალაქებში თბილისში, გორში, რუსთავში, აბრეშუმ წითელწყაროს, ზესტაფონის, წულუკიძის, ონის, ახალქალაქის, წალკისა და ფოთის რაიონებში.

შემოწმებით გამოირკვა, რომ უკანასკნელ წლებში ზემოაღნიშნულ ქალაქებსა და რაიონებში სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზა ძნიშნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა. გაიზარდა სკოლამდელი ასაკის სამბავშვო დაწესებულებების ქსელი, გაუმჯობესდა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობა, გაიზარდა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის. განათლების სამინისტროს აპარატმა და აღგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ეაძლიერეს ამ დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება. ამის დასადასტურებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ თელავის რაიონში (1960-1967 წლებში) აშენდა 6 სამბავშვო დაწესებულება. ქ. რუსთაველში — 14, ქ. თბილისის 1 მაისის რაიონში — 8, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონში — 17, თბილისის ორჯონიკიძის რაიონში — 8, ქ. თბილისის ლენინის რაიონში — 13 და ა. შ.

მიუხედავად ამისა, სამბავშვო დაწესებულებების ქსელი მაინც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამბავშვო ბაღებისა და ბაგების გარეთ არის დარჩენილი.

სამბავშვო დაწესებულებების ნაკლებობას განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან სოფლის მცხოვრებნი. თელავის რაიონის სოფლებში (ართანა, ჯუღალანი, ლალისური, ბუშეტი, ვანთა, აგურა, შალაური, კურდღელაური, ქვემო ხოდაშენი, იყალთო, ყარაჯალა), ზესტაფონის რაიონის სოფლებში (ფუთი, ალავერდი, კლდეეთი, ტაბაკინი, შრომა და სხვ.), ახალქალაქის რაიონის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში (გარდა ორი კოლმეურნეობისა) ბაგა-ბაღები საერთოდ არ არის.

ქ. რუსთაველში სამბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ასაკის 13.440 ბავშვიდან სამბავშვო დაწესებულებებით სარგებლობს მხოლოდ 4.039.

ამასთანავე უნდა აღინიშნოთ, რომ სამბავშვო დაწესებულებები, როგორც წესი, გადატვირთულია.

მაგალითად, ქ. რუსთავის 14 ბაღსა და 10 ბაგა-ბაღში 2.915 ადგილზე მიღებულია 4.039 ბავშვი, ე. ი. გადატვირთვა შეადგენს 40 პროცენტს. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 61-ე სამბავშვო ბაღი ნაცვლად 180-ისა 250 ბავშვს ემსახურება და ა. შ. ხშირად სააღმზრდელო ჯგუფებში დადგენილი წესით გათვალისწინებული 20-25 ბავშვის ნაცვლად ირიცხება 40-45 და ზოგჯერ მეტი.

შენობების უმარისობით გამოწვეულია ის ფაქტი, რომ წალკის რაიონი ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გამოყოფილ 6.000 მანეთის ამხარეს სამბავშვო დაწესებულებებისათვის ბინების დაქირავებას.

ეს მეტად ართულებს სამბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების მუშაობას. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელია ბავშვების ნორმალური მომსახურება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრ სამბავშვო დაწესებულებას საკმარისი რაოდენობით არ გააჩნია საწოლები, გასაგები გახდება, რომ უბრალად ირღვევა ბავშვების დღის რეჟიმი. მთელ რიგ სამბავშვო დაწესებულებებში (განსაკუთრებით შეუფუბული ტიპის შენობებში) 3-4 წლის ბავშვების დაძინებასაც კი ვერ ახერხებენ.

ამას კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომ, რომ ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით ბაღში ბავშვების ყოფნის ხანგრძლივობა დღეში 10 საათამდე გადიდდა.

სამბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების შენობების ტექნიკური მდგომარეობა ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ მაინც დიდად უნდა ვუსაყვედუროთ მშენებლებს, რომლებიც ზოგჯერ საეკსპლოატაციოდ აბარებენ უხარისხოდ ნაგები და ხშირ შემთხვევაში დაუმთავრებელ შენობებს.

მაგალითად, ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონში № 12, № 37, № 112, 1 მაისის რაიონში № 19, ლენინის რაიონში № 32, ქ. გორის №4 და № 5 ბაგა-ბაღები თუმცა საეკსპლოატაციოდ გადაეცა გასულ წელს, მაგრამ სამშენებლო, მოსაპირკეთებელი, სამონტაჟო და სხვა სახის სამუშაოები იმდენად მდარე ხარისხისაა, რომ ეს შენობები უკვე კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ. ზოგიერთ ქალაქში, რაიონსა და სოფელში სამბავშვო დაწესებულებები მოთავსებულია შენობაში, რომელთა გარე ხედი და კეთილმოწყობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტიპის სამბავშვო დაწესებულებების მოთხოვნილებებს.

მაგალითად, წალკის, ახალქალაქის, ზესტაფონის, წულუკიძის, თელავის და ქ. თბილისის ზოგიერთ რაიონში სამბავშვო დაწესებულებები მოთავსებულია ყოფილ საცხოვრებელ ბინებში. მათ არ გააჩნიათ საკუთარი ეზო, წყალსადენი, კანალიზაცია და ცენტრალური გათბობა.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 61-ე სამბავშვო ბაღი მოთავსებულია ყოფილად შეუფერებელ შენობაში. ბაღს არ გააჩნია ეზო, ნესტიანან, ბნელ ოთახებში ხელოვნური განათება. ამავე რაიონში ასეთსავე მძიმე პირობებშია 47-ე სამავშვო ბაღი.

შორაპნის სამბავშვო ბაღი მოთავსებულია ავარიულ მდგომარეობაში მყოფ ბარაკში. ამჟამად შენობის კედლები თითქმის ინგრევა, წვიმიან ამინდში ოთახებში წყალი შედის, მის კეთილმოწყობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის 200-ადგილიანი ბაგა-ბაღის შენობა ქარხნის ტერიტორიაზე მდებარეობს. მის კარმიდამოში სისტემატურად მტვერი, ბოლი და ჯანმრთელობისათვის მავნე აირებია.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები არ ასრულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების ამ პუნქტს, რომელიც ეხება ახალნაგებობათა პირველი სართულების ფართობის სამბავშვო დაწესებულებებისათვის გამოყოფას. აღვიშნავ, თითქმის არაფერი კეთდება სკოლამდელი დაწესებულებების იმ შენობების გამოსათავისუფლებლად, რომელთა ნაწილი სხვა დაწესებულებებს და მოსახლეობას უჭირავთ.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სამბავშვო ბაღების მთელ რიგ შენობებში სხვა დაწესებულებაა მოთავსებული ან მოსახლეობა ცხოვრობს. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სამბავშვო ბაღის შენობებს ადგილობრივი საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები სხვა დანიშნულებისამებრ იყენებენ.

მაგალითად, წალკის № 1 ბაღის შენობაში ორი ოთახი უჭირავთ კერძო მობინადრეებს. ქ. თბილისის ლენინის რაიონში № 1 ბაგა-ბაღის მთელი ფართობი მეშვიდე სტომატოლოგიურმა პოლიკლინიკამ დაიკავა.

წულუკიძის ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ამ ორთოდ თვის წინათ სამბავშვო ბაღის შენობის ორ ოთახში შეასახლა ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. ფირცხალავა. რის შედეგადაც აღსაზრდელების განკარგულებაში დარჩა მხოლოდ ორი ოთახი. ეს კი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს სამბავშვო ბაღის მოთხოვნილებებს. ბაღს არ გააჩნია პროდუქტების შესანახი ცალკე სათავსი, სურსათი სხვა ინვენტართან ერთად ინახება დროებითი ტიპის ფარდულში.

ასეთსავე მძიმე პირობებშია ქ. წულუკიძეს სამბავშვო ბაგა. იგი აგრე მოთავსებული იყო კარგ შენობაში და მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდა. რაიონის ხელმძღვანელობამ ბაგა გამოიყენა აღნიშნული შენობიდან ერთ-ერთ პირისაგან დაქირავებულ ორ პატარა ოთახში შეასახლა, შემდეგ კი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მიუჩინა რამდენიმე ოთახი. ბაგას არ გააჩნია წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, საპირფარეშო, ცენტრალური გათბობა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების არაერთგზისი გადაწყვეტილების მიუხედავად დღემდე მოუგვარებელია ბაგშვებისათვის შესაფერისი სხვადასხვა ზომისა და სახის აეჯის დამზადების საკითხი.

სამბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები მარაგდება შემთხვევითი, ხშ



გაზეთი და ცხოვრება

„ვეჩერნი ტბილისი“ 10 წლისა

ამი წლის წინათ მაისის საღამოს საქართველოს დედაქალაქის კიოსკებში გამოჩნდა ახალი გაზეთი — „ვეჩერნი ტბილისი“. ათი წელი მცირე დრო როდია, განსაკუთრებით გაზეთისათვის.

„ვეჩერნი ტბილისის“ ათი წლის ისტორიაში საკმაოდ არის საინტერესო, მკაფიო, დასამახსოვრებელი სტრიქონები და ფურცლები, რომლებიც მოგვითხრობენ თბილისსა და თბილისელებზე, მათს სახელოვან საქმეებზე, მათს შრომითს გმირობაზე, მათს კულტურულ ცხოვრებაზე.

განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო გაზეთის კოლექტივისათვის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, განვლილი საიუბილეო — 1967 წელი. იგი ახასიათებდა შემოქმედებითი აზრის აღმაფრენით, მრავალი ახალი უურნალისტური ძიებითა და მიგნებით. დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავისათვის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების 50-ე წლისთავისათვის, კარლ მარქსის დაბადების 150-ე წლისთავისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხების ყოველმხრივ და ღრმად გაშუქებამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა გაზეთის მუშაობაზე, ახალი სიცოცხლე შთაბერა მას, უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახადა.

მკითხველები ინტერესით შეხვდნენ მასალებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის იუბილეს წინადღეებში გამოჩნდა ახალი რუბრიკებით: „დიადი ორმოცდამეათე წლისთავის მწვერვალიდან“, „სკკპ თეზისები — მასებში“, „მოთხრობები პარტიის ვეტერანებზე“, „ვეჩერნი ტბილისის“ საიუბილეო შეხვედრები“ და სხვ.

იუბილეს წინადღეს გაზეთმა მიიღო ძვირფასი სტუმრები ლენინგრადიდან: რედაქციამ მოაწყო პრეს-კონფერენცია ლეგენდარული კრეისერის „ავროროს“ წარმომადგენელთა მონაწილეობით. „ვეჩერნი ტბილისის“ მკითხველები დაესწრნენ თინა იოსებიძისა და ფ. მახარაძის ქუჩების მცხოვრებთა შეხვედრებს სახელგანოქმული გმირი ქალიშვილისა და გამოჩენილი ქართველი რეჟოლუციონერის ნათესავებთან და მახლობლებთან.

გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს ქალაქის მშრომელებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩანერგვას. მაგალითად, რუბრიკით „დრო, ცხოვრება, ახალგაზრდობა“ გაზეთი ეწევა დიდ პარტიულ საუბარს უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებზე. ამ საუბარში მონაწილეობას იღებენ უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები, მეცნიერები, პედაგოგები, მუშები, პარტიული მუშაკები — სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის ადამიანები.

რედაქცია ხალისით უთმობს გაზეთის ფურცლებს თავის მკითხველებს — ნოვატორებს, საინტერესო საქმეების წამომწყებთ, როგორიც არიან, მაგალითად, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის ოსტატის თანაშემწე ა. ჩაქოვანი, თბილისის საწარმოოთა მუშები ი. მანჯაფელი, ზ. გველუკაშვილი და დიდმნიშვნელოვან წამოწყებათა სხვა ინიციატორები. უკანასკნელი წლების მანძილზე გაზეთი რეგულარულად აშუქებს წარმოების მაღალი, სანიმუშო კულტურისათვის, თბილისის მარკი-ის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის თბილისის საწარმოთა ბრძოლის მიმდინარეობას, ამასთან არა მარტო დადებითს გამოცდილებაზე მოგვითხრობს, არამედ მკეთრადაც აკრიტიკებს იმათ, ვისთვისაც ძვირფასი არ არის საწარმოო მარკის ღირსება.

„ვეჩერნი ტბილისის“ იუბილეს წინადღეს მისი ფოსტა განსაკუთრებით დიდი და შინაარსიანი იყო: მკითხველები მოგვითხრობენ თავიანთი საწარმოების, დაწესებულებების, ინსტიტუტების ცხოვრებაზე, გვიზიარებენ აზრებს, შემოაქვთ წინადადებანი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საზოგადოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების საკითხებზე. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი, ფართო და მრავალფეროვანია იმ წერილების თემატიკა, რომლებიც წარმოადგენენ გამოსაყენებას გაზეთის პატრიოტულ თაოსნობაზე — „გადავაქციოთ თბილისი მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად“.

გაზეთის ფურცლებზე ხშირად გამოდიან ქართული მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, რომლებიც ეხებიან ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერული კადრების ჩამოყალიბება, საბჭოთა ხელოვანის მოვალეობა. ამ გამოსვლებს ახასიათებს მაღალი პუბლიცისტური პათოსი, იდეური პოზიციების მკაფიობა.

მთელი ათი წლის მანძილზე გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“ პარტიის ერთგული თანაშემწე, მკითხველთა მრჩეველი და მეგობარი იყო. ამიტომ წლითიწლობით იზრდებოდა მისი ავტორიტეტი, მატულობდა პოპულარობა, ფართოვდებოდა ავტორთა აქტივი. დღეს, გაზეთის იუბილეს დღეს, მისი კოლექტივი გრძნობს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მკითხველთა წინაშე, ისაბავს კიდევ უფრო დიდ ამოცანებს. არა მარტო ყოველთვის მხარამხარ მიჰყვებოდნენ დროს, არამედ ოდნავ კიდევაც უსწრებდნენ მას — დე ეს იყოს მუდამ „ვეჩერნი ტბილისის“ ჟურნალისტთა დევიზი!

ჯ. ასლანიდი,
„ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორი.

თბილისი. საიათნოვას ვარდების დღე მგოსნის საფლავთან. ფოტო ლ. ასლანოვისა.

საიათნოვას ვარდების დღე

ხალხთა ძმობის მიტინგი თბილისში, საიათნოვას საფლავზე

ხარშუხში, ვახტანგ გორგასლის მოედანზე წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში, ხალხთა ძმობის მომღერლის საიათნოვა საფლავზე ყოველი წლის მაისის ერთ-ერთ კვირადღეს თავს იყრიან თბილისელები. 19 მაისსაც ასე იყო. მგოსნის ხსოვნის აღსანიშნავად აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის ინტელიგენციის წარმომადგენლები — მწერლები, პოეტები, ხელოვნების მუშაკები, მოძმე სომხეთიდან სტუმრად ჩამოსული წერლები ა. საპინიანი, ზ. დარიანი ვ. კარენცი, ლ. მირიჯანიანი, აკად. მ. ჩრბაშიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ჰ. რუხკიანი. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გრიგოლ აბაშიძემ.

„საიათნოვა და ამიერკავკასიის ხალხთა ძმური ოჯახის ფესვები“ — ასეთი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის, კრიტიკოს ბ. ეფენტის მოხსენების თემა. მან ილაპარაკა იმ ანდერძზე, რომელიც თავისი შემოქმედებით დაგვიტოვა საიათნოვამ. იგი ხომ სამ ენაზე წერდა — ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად. აქ, საქართველოს სტუმართმოყვარულ მიწაზე ჰპოვა ნაყოფიერი ნიადაგი მეგობრობის იმ დიდმა გრძნობამ, რომელმაც ხელი შეუწყო სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ძმური ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის.

საიათნოვასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა იოსებ ნონეშვილმა, კარლო კალაძემ, ოვანეს კარაიანმა, ვახ ჰაგ კარენცმა.

ექსპრომტად შეთხზული საკუთარი ლექსი წაიკითხა ინდოელმა საზოგადო მოღვაწემ ჯი კეი ბრახმანმა.

საიათნოვას ლექსისა და სიმღერის მადლი თბილისში არ წაწყვეტილა. აქ მგოსნის საფლავზე სწორედ ეს სიმღერები შეასრულა ქალაქური სიმღერის ოსტატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. ზახარეშვილმა, ქართულ და სომხურ ენებზე საიათნოვას ლექსი წაიკითხა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა რ. პაპოიანმა.

საიათნოვას ხსოვნის აღსანიშნავ დღეს საფუძველი დაუდეს ოვანეს თუმანიანმა და იოსებ გრიშაშვილმა და უწოდეს „საიათნოვას ვარდების დღე“. 19 მაისს, როცა დიდი პოეტის თაყვანისმცემლებმა საფლავთან თაიგულები მოიტანეს, თბილისის ცაზე მზე ელვარებდა. მგოსნის საფლავზე უამრავ ყვავილთა შორის საიათნოვას საყვარელი ვარდი პირველობდა.

ფილმს ილაბეზე მთათუშეთში

ვერტმფრინავმა უკანასკნელ წრე მოხაზა მთათუშეთის „თეთრ ლილოს“ და მშვიდობიანად დაეშვა ასაკეცი ტრაპიდან ჩამოტანილ კინოსტუდია „მოლდოვა ფილმის“ ახალგაზრდა რეჟისორი ემილ ლოტიანუ და ფილმის „უკანასკნელ წყმს“ გადამღები ჯგუფი... კინოსურათის, რომელიც მიეძღვნა ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლას ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ, გადაიღებენ მთათუშეთში.

სცენარის ავტორი და რეჟისორია ემილ ლოტიანუ. საქართველოს მთებში გადაღებულ კადრებს რეჟისორი ყველაზე „მომგებიან სანახაობად“ თვლის. გმირი ესპანელი მფრთხავის როლს ასრულებს მსახიობი **მიხაილ ჯოლონტეი.** ესპანელი ქალიშვილის სახეს განასახიერებს კინშინოვის ხელოვნების ინსტიტუტის სტუდენტი **სვეტლანა ტომასი.** დანარჩენ როლებს ასრულებენ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ესპანელები, რომლებმაც ჩვენს მიწაზე მეორე სამშობლო ჰპოვეს. მთებში მეგზურის როლს ფილმში ასრულებს ლტოლვილ ესპანელთა შთამომავალი, თბილისელი გოგონა მეოთხეკლასელი **სოხო დოლორესი.**

ფილმის გადაღება გრძელდება.

ჯ. რჩეულიშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲤᲗᲘᲐᲫᲘ, ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ, ენგურჰესის ცენტრალური ბაზის ტერიტორიაზე გაიხსნა ახალი კეთილმოწყობილი აფთიაქი, რომელიც მომსახურებას გაუწევს მუშა-მოსამსახურეებსა და ახლომახლო მცხოვრებ მოსახლეობას.

აქვე გაიხსნა ახალი სბაბავშვო ბაღი.

ბ. ალშიბაია.

ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲜᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე გორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა მ. ელიოზიშვილის პიესა „ბებერი მეზურნეები“. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. იოსელიანმა. წარმოდგენა მხატვრულად გააფორმა შ. ხუციშვილმა.

Ჯ. ᲥᲐᲠᲐᲜᲐᲫᲔ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲪᲮᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ. ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ-ᲫᲘ ᲯᲐᲠᲐᲜᲐᲫᲔ.

ჯ. კარანაძე ეკუთვნოდა ფლოტში კომკავშირის პირველ წარმოსავლითა რიცხვს. იგი დაიბადა 1900 წელს, ბათუმის ნავსადგურის მუშა ბოლშევიკის ოჯახში. რადგან სწავლისათვის სასსრები არ ჰქონდა, 1918 წლამდე მუშაობდა მატროსად შავი ზღვის ფლოტის გემებზე. ჯაბუკი სწავლაზე ოცნებობდა, მაგრამ თავისი ოცნების განხორციელება შეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1918 წელს სევასტოპოლში ჯ. კარანაძე კომკავშირში შევიდა. ათი ჭრილობა მიიღო მან საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში. მამაცურად იბრძოდა დენიკინელების, ჯაიდამაკელების, კადეტებისა და ვრანგელელების წინააღმდეგ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ბათუმში დაბრუნდა. 1922 წელს კომკავშირის საგზურით გაიგზავნა საზღვაო სასწავლებელში. 1923 წელს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მტურმანის წოდება მიიღო. თავდაპირველად მსახურობდა სამხედრო ხომალდებზე, შემდეგ გადავიდა სავაჭრო ფლოტში. დიდი სამამულო ომის წლებში მეთაურობდა საბრძოლო ხომალდებს. იგი გმირულად იბრძოდა ნოვოროსიისკში, ოდესაში, ქერჩში, სევასტოპოლში, დუნაიზე. რამდენჯერმე დაჭრის შემდეგ კვლავ ბრუნდება სამშობლოს დამცველთა მწყობრში, მეთაურობს სადესანტო გემებს. კ. კარანაძემ 29 სადესანტო რეიდი მოახდინა მტრის ზურგში.

ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლოცმანად ბათუმის ნავსადგურში, შემდეგ კი საქართველოს სსრ მინაგან-საქმეთა სამინისტროს სისტემაში. 1963 წლიდან შრომობდა „საქთვეზმრეწვის“ სამმართველოს ფლოტისა და მოპოვების განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე.

მაღალი შეფასება მიეცა სამამულო ფლოტის ვეტერანის დამსახურებას, იგი დაჯილდოებული იყო ორი წითელი დროშის ორდენით, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენით და 10 მედლით.

უაღრესად თავმდაბალი, გულისხმიერი ამხანაგისა და მეგობრის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲕᲐᲓᲐ ᲒᲐᲣᲒᲠᲫᲔᲚᲔᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 20 მაისი. (საკდესი). ვადა გაუგრძელეს კომენდანტის საათს ამერიკის ქალაქ სოლსბერში (მერილენდის შტატი) და მისგან ხუთი მილის რადიუსით. ქალაქის ქუჩებს პატრულობენ ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები და პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები.

სოლსბერის მცხოვრებთა მესამედი ზანგები არიან. ისე როგორც ამერიკის ყოველ სხვა ქალაქში, აქ გამეფებულია ზანგი მოსახლეობის დისკრიმინაცია და ხელისუფალთა თვითნებობა. შაბათს პოლიციელმა მოკლა ზანგი ჰაბუკი დანიელ ჰენრი „გაქცევის ცდის დროს“. ამან აღაგზნო ზანგთა მოთმინების ფიალა. ისინი გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში, რათა მტკიცე პროტესტი განეცხადებინათ. პოლიციამ ცრემლსადენი გაზის საშუალებით გარეკა დემონსტრანტები.

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲓᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 20 მაისი. (საკდესი). პენტაგონის ხელმძღვანელებს განზრახული აქვთ გამოაყოფინონ მთავრობასა და კონგრესს ასტრონომიული თანხა — 102 მილიარდი დოლარი სამხედრო უწყების საჭიროებისათვის 1970 საფინანსო წელს, რომელიც 1969 წლის 1 ივლისს იწყება. ამას იუწყებიან დღეს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტები დ. ჰოფმანი და ტ. ო'ტული; მათი სიტყვით, შესაბამისი ბიუჯეტის პროექტი უკვე წარუდგინა ჯარების გვარეობათა სარდლობამ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს კ. კლიფორდს.

ᲚᲐᲠᲘᲑᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 20 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში გუშინ შუა-დასავლეთ შტატებიდან ჩამოვიდა ლარიბთა ლაშქრობის მონაწილეთა ქარავანი. ათასამდე კაცი დროებით მოთავსდა ვაშინგტონის კოლიზეუმში. ჩამოსულთა შორის არის თეთრკანიანი მეგდელი ჯეიმს გროპი.

ჩამოვიდა რა ვაშინგტონს, გროპიმ განაცხადა, რომ ამერიკის მოსახლეობის ღარიბთა ფენების წარმომადგენელნი მთავრობისა და კონგრესისაგან მოითხოვენ ღონისძიებებს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ლაშქრობის ხელმძღვანელმა — ზანგთა ორგანიზაციის „სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის „ლიდერმა რალფ აბერნეტიმ, რომელმაც გუშინ ქალაქ ალბუკერკში (ნიუ-მექსიკოს შტატი) გზა დაულოცა ქარავანს, აღრეთვე აღნიშნა, რომ ლაშქრობის მონაწილენი დედაქალაქში იქნებიან მანამდე, სანამ ხელისუფალნი კონკრეტულ ღონისძიებებს არ განახორციელებენ სახელმწიფოში სილატაკის აღმოფხვრისათვის.

ᲙᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲝᲛᲘᲜᲒᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 20 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ი. რომანოვი იუწყება: სანტა-დომინგოში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ 16 მაისს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში გაიმარჯვა მმართველმა რეფორმისტულმა პარტიამ. ამრიგად, პრეზიდენტმა ბალაგერმა, რომელიც 1966 წლის ზაფხულში ხელისუფლების სათავეში ჩაუყენეს ამერიკელმა ინტერვენტებმა, განიმტკიცა პოზიციები დომინგოს 77 მუნიციპალიტეტიდან უმრავლესობაში.

ბალაგერი, რომელიც პრეზიდენტად „არჩეულია“ ამერიკელთა ხიშტების დახმარებით, მორჩილად ასრულებს ვაშინგტონის მითითებებს, რისთვისაც მისი სრული მფარველობით სარგებლობს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახლანდელ მთავრობას „დახმარების“ სახით მისცა 90 მილიონი დოლარი. დომინგოს რესპუბლიკისა და პუერტო-რიკოს „ეკონომიური თანამშრომლობის“ გეგმის ნიღბით ვაშინგტონი თავისი კოლონიის ტერიტორიაზე ეპატრონება ქვეყნის ეკონომიკას.

ყოველი კუთხიდან დომინგოს რესპუბლიკისაკენ გაეშურნენ უცხოთის უდიდესი მონოპოლიები. კანადის „ფალკენბერგ ნიკელის“ ფირმამ 1969 წლისათვის დაგეგმა დაანადგოს დომინგოს ნიკელის წარმოებაში 100 მილიონი დოლარი. ნავთობის კომპანია „შელ ოილ კომპანის“ განზრახული აქვს ააგოს ნავთობგადასამუშაველი ქარხანა, რომელიც 25 მილიონი დოლარი დაჯდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘ, 20 მაისი. (საკდესი). ირანში ფილმის „ირანის ძეგლების“ გადასაღებად ჩამოვიდნენ ცნობილი საბჭოთა კინემატოგრაფისტები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კინორეჟისორი **ირაკლი კანდელაკი** და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **კინოოპერატორი ა. სემიონოვი.**

ისინი ეწევიან თეერანს, ნახავენ ძველ კულტურულ ცენტრებს — ისპაჰანს, შირაზს, მეშხედს, ჩავლენ პერსეპოლისში, სადაც დაცულია ისტორიული, კულტურული ძეგლები. საბჭოთა კინემატოგრაფისტებს განზრახული აქვთ თავიანთ ფილმში მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ თანამედროვე ირანს, საბჭოთა კავშირ-ირანს ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1968 წლის 20 მაისიდან 30 ივნისამდე საბჭოთა კავშირში განხორციელდება კოსმოსური ამპარატების დაჯდომის სისტემის შემდგომი გამოცდები, ამასთან სარაკეტო სისტემის ცალკეული ელემენტები ჩამოვარდება ხოლმე წყნარი ოკეანის ეკვატორიის შემდეგ რაიონებში:

პირველი რაიონია წრე, რომლის რადიუსია 40 საზღვაო მილი, ხოლო ცენტრის კოორდინატებია სამხრეთი განედის 0 გრადუსი და 52 მინუტი და დასავლეთი გრძედის 156 გრადუსი და 40 მინუტი;

მეორე რაიონია სწორკუთხედი, რომლის კუთხეთა კოორდინატებია:

სამხრეთი განედი	დასავლეთი გრძედი
6 გრადუსი და 45 მინუტი	154 გრადუსი და 40 მინუტი
6 გრადუსი და 20 მინუტი	153 გრადუსი და 42 მინუტი
8 გრადუსი და 52 მინუტი	152 გრადუსი და 36 მინუტი
9 გრადუსი და 18 მინუტი	153 გრადუსი და 31 მინუტი

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ უსაშიშრობის უზრუნველყოფის მიზნით საბჭოთა კავშირის მთავრობა სთხოვს იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც სარგებლობენ საზღვაო და საჰაერო გზებით წყნარ ოკეანეში, მისცენ მითითება შესაბამის ორგანოებს, რომ გემები და თვითმფრინავები არ შედიოდნენ აკვატორიისა და საჰაერო სივრცის ამ რაიონებში ყოველდღიურად ნაშუადღევს 12 საათიდან 24 საათამდე ადგილობრივი დროით.



ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ. გააცნოს პაკისტანის ფირმებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს საბჭოთა აპარატურა და ზუსტი ხელსაწყოები — ასეთია ყარაჩში გახსნილი საბჭოთა სპეციალიზებული გამოფენის მიზანი. საბჭოთა ხელსაწყოებისა და აპარატურის გამოფენა მოაწყო საკავშირო საზოგადოება „მაშპრიბორტორგმა“. გამოფენას ყოველდღე ათვალიერებს ათასობით პაკისტანელი. ფირმების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები, რადიო, ტელე და ფოტომოყვარულები. საბჭოთა საგამოფენო დარბაზი ყოველთვის სავსეა მნახველებით. **ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ:** გამოფენის საერთო ხედი.

ფოტო ვ. ვავილოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 20 მაისი. (საკდესი). გერმანელთა მშვიდობის კავშირის პარტიამ ჰაოვერში გამართულ კონგრესზე მოუწოდა მოაწყონ აქტიური გამოსვლები საგანგებო კანონმდებლობის წინააღმდეგ. ერთსულოვნად მოწონებულ რეზოლუციაში კონგრესი განსაკუთრებით მიეხსნემება წინასწარი გაფიცვების მოწყობას საგანგებო კანონების წინააღმდეგ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ

ᲗᲔᲰᲔᲠᲐᲜᲘ. 20 მაისი. (საკდესი). ირანში ფილმის „ირანის ძეგლების“ გადასაღებად ჩამოვიდნენ ცნობილი საბჭოთა კინემატოგრაფისტები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კინორეჟისორი **ირაკლი კანდელაკი** და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **კინოოპერატორი ა. სემიონოვი.**

ისინი ეწევიან თეერანს, ნახავენ ძველ კულტურულ ცენტრებს — ისპაჰანს, შირაზს, მეშხედს, ჩავლენ პერსეპოლისში, სადაც დაცულია ისტორიული, კულტურული ძეგლები. საბჭოთა კინემატოგრაფისტებს განზრახული აქვთ თავიანთ ფილმში მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ თანამედროვე ირანს, საბჭოთა კავშირ-ირანს ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:1 (0:1). თბილისი. 20 მაისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, ბერტიაშვილი, კუტოვაძე, ქიქავა, (ლ. ნოდია), მერკოფლი, გ. სიჭინავა, გაგაშელი.

„შახტიორი“ — დეგტიარევი, პოლეკი, ტერშინი, გუბინი, დროზდენკო, გრიგორიევი, სტანკიავიჩუსი, ბლოდენინი, იარომჩენკო, ლობანოვსკი, ვესკენკო.

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐᲡᲘ, ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ მატჩში დინამოელებს კიდევ ორი წამყვანი მოთამაშე აკლდათ. ესენი იყვნენ ᲐᲡᲐᲛᲘᲐᲜᲘ და Ბ. ᲜᲝᲓᲘᲐ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ნაკრებში გაიწვიეს.

ისევე, როგორც განვლილ შეხვედრებში დინამოელებმა ბევრი ვერაფერი გაგვახარეს. ერთერთი შეცდომა მეტად ძვირად დაუჯდა გუნდს. მე-15 წუთზე დაახლოებით 35-40 მეტრიდან ლობანოვსკიმ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა. ᲙᲘᲠᲙᲘᲠᲝᲕᲘᲫᲔᲡ არც კი მოუხდენია ამ ბურთზე რეაქცია. მხოლოდ ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ თბილისელები, ნახევარი საათის განმავლობაში ისინი არ მოწორებიან მეტოქის საჯარიმო მოედანს, მაგრამ ვერ მოხერხდა დონეცკელთა კარის აღება.

მხოლოდ 65-ე წუთზე შეძლეს თბილისელებმა წონასწორობის აღდგენა. ᲚᲘᲒᲘᲜᲐᲕᲐ-ᲫᲝᲫᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ კომბინაციას შეტრფვილეს დარტყმა და გოლი მოჰყვა. 4 წუთის შემდეგ მეკარე ᲓᲔᲒᲢᲘᲐᲠᲔᲕᲛᲐ სასწაულებრივად იხსნა კარი. ეერიშები გრძელდებოდა, კრიტიკულ მომენტს კრიტიკული მომენტი მოსდევდა, მაგრამ უშედეგოდ, ანგარიში უცვლელი დარჩა.

მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ᲕᲚ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ.

ᲤᲠᲔᲓ ᲙᲘᲠᲝᲕᲐᲒᲐᲓᲨᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ დონეზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ქუთაისის „ტორპედოსა“ და კიროვაბადის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. ეს მატჩი შედგა გუშინ კიროვაბადში. დებიუტანტები, რომლებსაც აქამდე უკვე 12 ქუა ჰქონდათ დაკარგული, აგრესორულად იყვნენ განწყობილი და რა თქმა უნდა ცდილობდნენ თავი დაეღწიათ აუტსაიდერობისათვის.

მეტოქეებმა შეძლეს თითო ბურთის გატანა და „შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. გოლების ავტორები იყვნენ **ზარია** და **ეინულაევი.**

ამ მატჩში მოპოვებულმა ერთმა ქულამ აუტსაიდერს — კიროვაბადის „დინამოს“ საშუალება მისცა ერთი საფეხურით აეწია ზევით.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲯᲐᲒᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში.

ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐ კიევში ადგილობრივი და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს შორის დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 2:0.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ თამაშობდნენ „არარატი“ და ლუგანსკის „ზარია“. შეხვედრის შედეგი 3:0 „არარატის“ სასარგებლოდ.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ სკა-სა და ბაქოს „ნეფტჩის“ მატჩი დამთავრდა სკა-ს გამარჯვებით 1:0.

ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ „ჩერნომორეცს“ პაექრობა ჰქონდა ცსკა-სთან. წარმატება ოდესელებს ხვდათ 1:0.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„Ა“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 21 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ა.)	10	5	5	0	13-5	15
„სპარტაკი“	8	5	3	0	13-6	13
„არ. სოვეტოვი“	9	5	3	1	9-3	13
„ტორპედო“ (მ.)	9	4	3	2	12-6	11
„დინამო“ (თბ.)	9	4	3	2	8-4	11
„ნეფტჩი“	9	4	2	3	8-3	10
„ლოკომოტივი“	8	4	2	2	11-7	10
„ჩერნომორეცი“	9	3	4	2	10-10	10
„შახტიორი“	9	3	4	2	7-8	10
ცსკა	9	2	5	2	8-7	9
„ზარია“	10	3	3	4	6-12	9
„დინამო“ (მნ.)	8	3	2	3	7-5	8
„ზენიტი“	8	1	6	1	7-6	8
„არარატი“	9	2	3	4	8-8	7
სკა	9	2	3	4	11-15	7
„დინამო“ (მ.)	10	2	3	5	6-10	7
„ტორპედო“ (ქ.)	10	2	3	5	9-15	7
„კაირატი“	9	2	1	6	6-12	5
„დინამო“ (კირ.)	9	1	3	5	4-12	5
„პახტაკორი“	9	0	5	4	6-15	5

ᲝᲥᲠᲝᲪᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ

**